

შპს ჯი თი სი ჯგუფი

კონსოლიდირებული

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

ს ა რ ჩ ე ვ ი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში	
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	
სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება	1
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5-23
მმართველობის ანგარიშგება	24-29

შპს ჯი თი სი ჯგუფი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული ფინანსური ანგარიშგებისა და მმართველობის ანგარიშის მომზადებასა და დამტკიცებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს ჯი თი სი ჯგუფის (შემდგომში კომპანია) და მისი შვილობილი კომპანიების (ერთობლივად ჯგუფი) ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი ოპერაციების შედეგებს, აქციონერთა კაპიტალის ცვლილებასა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ისეთი ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ცალკეულ ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის ცალკეულ ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიის ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ცალკეული ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და ცალკეული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე ადგილობრივი კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ცალკეული მმართველობის ანგარიშის მომზადებაზე და ისეთი შიდა კონტროლის არსებობაზე რომელიც, მისი აზრით აუცილებელია

თაღლითობისა თუ შეცდომებით გამოწვეული მცდარი ინფორმაციისგან თავისუფალი მმართველობის ანგარიშის მოსამზადებლად.


ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული მმართველობის ანგარიში მზადდება ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად;
- 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ცალკეული მმართველობის ანგარიში მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ინფორმაციას;
- ცალკეულ მმართველობის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია, ყველა არსებითი თვალსაზრისით, შეესაბამება 2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის წარმოდგენილი ცალკეული ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2021 წლის 27 სექტემბერს.


ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი



ლ. კალანდარიშვილი

ფინანსური დირექტორი



დავით ჟღენტი

2021 წლის 27 სექტემბერი
თბილისი, საქართველო



აუდიტორული კომპანია
შ.პ.ს. „ჯ. ბ. აუდიტი“
AUDIT COMPANY
“J. B. Audit”, LLC
www.jbauditi.ge



დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს ჯი თი სი ჯგუფის დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს ჯი თი სი ჯგუფის (შემდგომში „კომპანია“) და მისი შვილობილების (ერთობლივად „ჯგუფის“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, კაპიტალში ცვლილების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგებისგან და ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ - ნაწილში აღწერილი საკითხის გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგების სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მუხლი (იხ. შენიშვნა 12) 2020 წლის 31 დეკემბრისა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიცავს შესაბამისად 4,785,533 ლარის და 6,064,308 ლარის სავაჭრო ვალდებულებებს. ჩვენ ვერ შევძელით მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება აღნიშნული ვალდებულების წარმოშობისა და მიმდინარე ნაშთების ანგარიშსწორების პირობების შესახებ. ამიტომ, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ზემოაღნიშნულ თანხებში.

აუდიტს წავმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (IESBA კოდექსი) შესაბამისად და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია ჯგუფის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის“ შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, შეაფასოს და, საჭიროების შემთხვევაში, განმარტოს საქმიანობის უწყვეტობა და მასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის დაშვების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია, ოპერაციების შეჩერება ან არ აქვს, ამის გარდა, სხვა არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის/კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული რწმუნება, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს და გავცეთ დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. გონივრული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას იმისა, რომ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე ჩატარებული აუდიტი ყოველთვის შეძლებს არსებითი უზუსტობების გამოვლენას.

უზუსტობები შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის შედეგად და არსებითად განიხილება, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად,

გავლენას მოახდენს მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიიღება წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) თანახმად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკებს, ვგეგმავთ და ვასრულებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობის ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, ინფორმაციის არასწორად წარმოდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტისთვის მნიშვნელოვან შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონტრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით გაურკვევლობას, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღებას გავამახვილებთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგვარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვლით ჩვენს დასკვნას. ჩვენი მსჯელობებები ეფუძნება ჩვენი აუდიტორის დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება საწარმოს უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპით;
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების ზოგად წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა;
- მოვიპოვებთ საკმარის აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის ფინანსურ ინფორმაციასა და საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ

პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე.
ჩვენ პასუხისმგებელი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.
- სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის არის არაარსებითი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრეობაზე და მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

მარიამ ფიცხელაური (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-874913**).

შპს „ჯ.ბ. აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2021 წელი

პასუხისმგებელნი ვართ აუდიტის მიმართულებაზე, ზედამხედველობასა და შესრულებაზე. ჩვენ პასუხისმგებელნი ვართ მხოლოდ ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მართვის უფლებით აღჭურვილი პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2020 წლის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია ამავე წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან და მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.
- სხვაობა ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებებს შორის არის არაარსებითი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან ჯგუფის კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედრისა და მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

მარიამ ფიცხელაური (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-874913**),

შპს „ჯ.ბ. აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

27 სექტემბერი, 2021 წელი



შპს ჯი თი სი ჯგუფი
მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებული
ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი		13,870,399	15,573,853
რეალიზებული საქონლის/ გაწეული მომსახურების თვითღირებულება		(10,551,200)	(11,857,008)
სრული მოგება		3,319,199	3,716,845
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	5	(3,597,426)	(2,532,402)
სხვა შემოსავალი/ხარჯი		72,036	71,726
წმინდა ფინანსური მოგება/ზარალი	6	(400,829)	177,831
კურსთაშორის სხვაობიდან წმ. შემოსავალი/ზარალი		(1,613,114)	(157,269)
მოგება დაბეგვრამდე		(2,220,133)	1,276,730
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
მოგება წლის განმავლობაში		(2,220,133)	1,276,730
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული მოგება/ზარალი		(2,220,133)	1,276,730
		-	-

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 27 სექტემბერს
დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ლევან კალანდარიშვილი

დირექტორი



დავით ჟღენტი

ფინანსური დირექტორი



შპს ჯი თი სი ჯგუფი
ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

ლარი	შენიშვნა	31/Dec/2020	31/Dec/2019
აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	3,785,204	3,090,406
არამატერიალური აქტივები	8	919	1,033
საინვესტიციო ქონება		194,505	-
სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები		352,105	292,789
ინვესტიცია შვილობილ საწარმოში			
გრძელვადიანი აქტივები		4,332,733	3,384,229
მარაგები	9	4,105,880	4,286,771
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10	4,230,971	4,920,116
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	11	709,339	351,192
მიმდინარე აქტივები		9,046,189	9,558,079
სულ აქტივები		13,378,922	12,942,308
კაპიტალი			
კაპიტალი		-	42,810
გაუნაწილებელი მოგება		336,055	2,556,189
სულ კაპიტალი		336,055	2,598,999
ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	13	3,731,336	2,724,636
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	13	56,845	56,950
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		3,788,181	2,781,586
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	5,480,729	6,673,131
ფინანსური იჯარის ვალდებულების მიმდინარე წილი		41,162	19,211
მოკლევადიანი სესხები	13	3,732,795	869,381
მიმდინარე ვალდებულებები		9,254,686	7,561,723
სულ ვალდებულებები		13,042,868	10,343,309
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		13,378,922	12,942,308

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 27 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ლევან კალანდარიშვილი

დირექტორი

დავით ჟღერტი

ფინანსური დირექტორი

შპს ჯი თი სი ჯგუფი

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება 2020 წლისათვის

ლარი	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ დაუფარავი ზარალი	სულ
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			
კაპიტალის გაზრდა ან შემცირება			
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი			
განაწილებული დივიდენდი			
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	42,810	2,556,189	2,598,999
კაპიტალის გაზრდა ან შემცირება	(42,810)		(42,810)
პერიოდის წმინდა მოგება/ზარალი		(2,220,133)	(2,220,133)
განაწილებული დივიდენდი			-
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	336,055	336,055

ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 27 სექტემბერს დამტკიცებულია
გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ლევან კალანდარიშვილი



დირექტორი

დავით ჟღენტი



ფინანსური დირექტორი

შპს ჯი თი სი ჯგუფი

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული ანგარიშგება
თანხები მოცემულია ერთეულ ლარში

2020

2019

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან

მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები

16,693,098 15,465,579

მომწოდებლებზე გადახდილი ფულადი სახსრები

(13,437,423) (12,555,599)

გაცემული შრომის ანაზღაურება

(1,753,389) (1,378,185)

გადახდილი/დაბრუნებული გადასახადები

(2,583,107) (3,674,389)

საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები

(114,847) (47,058)

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

(1,195,667) (2,189,653)

ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალებების შეძენა

(25,032) (711,960)

არამატერიალური აქტივების შეძენა

- (1,148)

ძირითადი საშუალებების და არამატ. აქტივების გასვლიდან

- -

მიღებული შემოსულობანი

(375,000) (90,000)

სესხების გაცემა

316,000 90,000

გაცემული სესხების დაბრუნება

საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები

(84,032) (713,108)

ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან

საწესდებო კაპიტალის შევსება

- 163,000

საკუთარი აქციების გამოსყიდვა/გაცემები კაპიტალის შემცირების გამო

(42,810) (120,190)

სესხების აღება

3,998,888 5,317,066

სესხების დაფარვა

(1,770,585) (2,158,035)

სესხზე გადახდილი პროცენტები

(181,480) (109,492)

გადახდილი დივიდენდები

(534,416) -

საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები

1,469,596 3,092,349

ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული ზრდა/კლება (ნეტო)

168,249 45,600

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა

358,146 235,188

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის

351,192 116,004

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის

709,339 351,192


ფინანსური ანგარიშგება მენეჯმენტის სახელით, 2021 წლის 27 სექტემბერს დამტკიცებულია გამოსაშვებად შემდეგი პირების მიერ:

ლევან კალანდარიშვილი



დირექტორი

დავით ულენტი



ფინანსური დირექტორი

შპს ჯი თი სი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერი

1. ზოგადი ინფორმაცია

ა) ორგანიზაცია და საქმიანობა

ჯგუფის მშობელი კომპანია, შპს ჯი თი სი ჯგუფი (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად, რომელიც დაფუძნდა 2019 წლის 20 მარტს.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი საბურთალოს რ-ნი, ექვთიმე ხელაძის ქ. N33 და მისი საიდენტიფიკაციო ნომერია: 405324947.

კომპანიის შვილობილი კომპანიები წარმოადგენენ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებებს „მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის“ შესაბამისად და ისინი დაფუძნებული და რეგისტრირებულნი არიან საქართველოში.

„ჯგუფის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს გათბობის სისტემების რეალიზაცია/მონტაჟი, სამშენებლო მასალების ყიდვა/გაყიდვა.

„კომპანიის“ კაპიტალის წილების პროცენტული ფლობა 2020 და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

წილის მფლობელები	წილი
ლევან კალანდარიშვილი	50%
კახა მარღიაშვილი	50%

„კომპანია“ საქართველოში რეგისტრირებული შემდეგი შვილობილი საწარმოების მშობელი კომპანიაა:

2019-2020				
შვილობილი საწარმოს დასახლება	ძირითადი საქმიანობა	დაფუძნების თარიღი	კონტროლის მოპოვების თარიღი	მფლობელობა / ხმის უფლება
შპს „ჯი თი სი ტრეიდიგ“	სამშენებლო მასალების იჯარა/რეალიზაცია	21-06-2018	21-03-2019	100%
შპს „ჯი თი სი რენთი“	სამშენებლო მასალების იჯარა/რეალიზაცია	22-03-2019	22-03-2019	100%
შპს „ჯეო-ფორმ“	უმოქმედო	03-05-2019	03-05-2019	100%

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგენილია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მოთხოვნების დაცვით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია გამოსაცემად 2021 წლის 25 სექტემბერს.

შპს ჯი თი სი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერი

ბ) საქართველოს ბიზნეს გარემო

„ჯგუფის“ საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. საქართველოს ბიზნესგარემო ხასიათდება არაერთი სტრუქტურული ნაკლოვანებებით: საქართველო არის პატარა, ღია ეკონომიკის მქონე ქვეყანა მაღალი დოლარიზაციის დონით, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტითა და საერთაშორისო ფინანსურ რესურსებზე მზარდი დამოკიდებულებით. შედეგად, ქვეყნის ფინანსური სისტემა ხდება დაუცველი გლობალურ ეკონომიკურ და ფინანსურ ტენდენციებთან მიმართებაში. Covid-19-ით გამოწვეული გლობალური ეკონომიკური კრიზისმა, კონკრეტულად კი, ეკონომიკური აქტოვობისა და ინვესტიციების შემცირებამ გამოიწვია რისკის პრემიის გაზრდა. ამასთან, პანდემიის გავრცელებასთან და ხანგძლივობასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობამ კიდევ უფრო გაზარდა ფინანსური სტაბილურობის რისკები. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არსებულ გარემოებებში იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა უზრუნველყოს ჯგუფის საქმიანობის მდგრადობა და განვითარება.

2. მომზადების საფუძვლები

განცხადება შესაბამისობის თაობაზე. წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია “ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის” (შემდგომში მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს ჯგუფის ხელმძღვანელობისგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს კომპანიის და მის კონტროლს დაქვემდებარებული შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებებს. კონტროლი მიიღწევა მაშინ, როდესაც კომპანიას:

- აქვს გავლენა ინვესტიციის ობიექტზე;
- იღებს ან უფლება აქვს მიიღოს ინვესტიციის ობიექტში თავისი მონაწილეობიდან ცვლადი უკუგება; და
- შეუძლია თავისი გავლენის გამოყენება უკუგებაზე ზემოქმედებისთვის.

ჯგუფი ხელახლა აფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის ზემოაღნიშნული სამი ელემენტიდან ერთ-

შპს ჯი თი სი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერი

ერთში ცვლილებებია მომხდარი.

როდესაც ჯგუფი ინვესტიციის ობიექტში უმრავლესობაზე ნაკლებ ხმებს ფლობს, მას გავლენა ექნება ინვესტიციის ობიექტზე, თუ ხმის უფლება საკმარისია, რომ მას ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ერთპიროვნულად წარმართოს ინვესტიციის ობიექტის შესაბამისი საქმიანობა. იმის შეფასებისას, კომპანიის ხმის უფლება საკმარისია თუ არა ინვესტიციის ობიექტზე გავლენის განსახორციელებლად, კომპანია ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებას ითვალისწინებს, მათ შორის:

- კომპანიის ხმის უფლებათა რაოდენობა სხვა მფლობელების ხმის უფლებების რაოდენობასა და გაზიარებასთან შედარებით;
- კომპანიის, სხვა მფლობელებისა და სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა სახელშეკრულებო გარიგებებიდან წარმომდგარი უფლებები; და
- ნებისმიერი დამატებითი ფაქტი ან გარემოება, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანიის ამჟამად აქვს, ან არ აქვს უნარი, მართოს შესაბამისი საქმიანობა ისეთ დროს, როდესაც გადაწყვეტილებების მიღებაა საჭირო, მათ შორის ხმის მიცემის გამოცდილება წინა პარტნიორობის კრებებზე.

შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ საწარმოზე.

კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გასხვისებული შვილობილი კომპანიის შემოსავალი და ხარჯები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ ინფორმაციაში იმ თარიღიდან, როდესაც კომპანია იძენს კონტროლს, იმ თარიღამდე, როდესაც კომპანიის კონტროლი შვილობილ კომპანიაზე წყდება. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან.

ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა შიდაჯგუფური ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას სრულად ელიმინირდება.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფუნქციონირებადი საწარმოს მართებულობის დაშვების შეფასებისას საწარმოს ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ნებისმიერ ინფორმაციას საწარმოს მომავალი საქმიანობის შესახებ, რომელიც გულისხმობს ბალანსის შედგენის თარიღიდან სულ მცირეს, 12 თვეს. COVID 19-მა არაპირდაპირი გავლენა იქონია ჯგუფის ოპერაციებზე. მენეჯმენტმა და დამფუძნებლებმა შეათანახეს კრიზისული პერიოდის საპროგნოზო შედეგები, ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს გადახედილ ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

სამუშაო ვალუტა. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები შეფასებულია იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაში, სადაც საწარმო ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოური ვალუტა. ოპერაციები აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება საანგარიშგებო თარიღით არსებული სავალუტო კურსით. საკურსო სხვაობების შედეგად წარმოქმნილი ყველა რეალიზებული და არარეალიზებული შემოსულობა და ზარალი აისახება პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

საქართველოს ეროვნული ზანკის ოფიციალური კურსი

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8677	3.2095

შემოსავალი. შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს, შესაძლებელია შემოსავლის საიმედოდ შეფასება და ასევე, შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალში გასაწევი ხარჯების საიმედოდ შეფასება.

მომსახურების გაწვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით. შემოსავალი რეალიზაციიდან აღიარდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. როდესაც კომპანიას შეუძლია საიმედოდ შეაფასოს გაწეული მომსახურების შედეგები, მასთან დაკავშირებული შემოსავლის აღიარება ხდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, გაწეული მომსახურების შესრულების სტადიის მიხედვით. თუ ამონაგები უკვე აღიარებულია და შემდეგ საექვო გახდება გადასახდელი თანხის ამოღება, ამოსაღები თანხა აღიარდება ხარჯის სახით და არა როგორც უკვე ასახული ამონაგების თანხის კორექტირება.

შპს ჯი თი სი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერი

ხარჯები. ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაბეგვრა. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, ხელმძღვანელობას მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიის საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისთვის. კომპანიას საკუთრებაში არსებულ მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

შპს ჯი თი სი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერი

ძირითადი საშუალებების ჯგუფების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	50
სატრანსპორტო საშუალებები	8-10
საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	3-5
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	5

სასარგებლო მომსახურების პერიოდი და ცვეთის მეთოდი მიმოიხილება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ღირებულების ცვლილების ეფექტის გათვალისწინებით, პერსპექტიულ საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალებების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

ძირითადი საშუალების ობიექტის აღიარება წყდება მისი გასხვისებისას ან მაშინ, როდესაც მისი შემდგომი გამოყენებიდან მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული წმინდა ანაზღაურების სხვაობით და ჩაირთვება მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მიერ ფლობილი ქონება საიჯარო შემოსავლის ან კაპიტალის ფასის გაზრდისთვის, ან ორივე მიზეზით, და არ არის კომპანიის მიერ ათვისებული საკუთარი საოპერაციო საქმიანობების განსახორციელებლად. კომპანია საინვესტიციო ქონებას თავდაპირველად აღიარებს თვითღირებულებით. ქონების თვითღირებულება მოიცავს მისი შეძენის ფასსა და ნებისმიერ დანახარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია უშუალოდ საინვესტიციო ქონების შეძენასთან, როგორცაა იურიდიული ან საბროკერო მომსახურების ღირებულება, ქონების გადაცემასთან დაკავშირებული გადასახადები და სხვა მსგავსი გარიგების დანახარჯები. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ საინვესტიციო ქონების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება.

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების მიერ, რომელთაც აქვთ შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია.

საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან წარმოქმნილი შემოსულობები და ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში და ცალკე ხდება მისი წარდგენა.

არამატერიალური აქტივები. არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების სასრული ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. ამორტიზაცია გამოითვლება დარიცხვის წრფივი მეთოდით მათი სასარგებლო გამოყენების ვადაზე. სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადა და ამორტიზაციის მეთოდი გადაიხედება ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს და ნებისმიერი შეტანილი ცვლილების ეფექტი აღირიცხება პერსპექტიულად.

შპს ჯი თი სი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერი

არამატერიალური აქტივები, რომლებსაც სასარგებლო გამოყენების უსასრულო ვადა აქვთ, აღირიცხება თვითღირებულებით, რომელსაც აკლდება დაგროვილი გაუფასურების ზარალი. სასარგებლო მომსახურების განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადებისა და მეთოდების გადახედვა ხდება მინიმუმ ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა შეადგენს 5-10 წელს. არამატერიალური აქტივის აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი.

მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს კომპანია გადახედავს მატერიალური და არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებებს, რომ განსაზღვროს, არსებობს თუ არა ამ აქტივების გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ფასდება ამ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება იმისათვის, რომ განისაზღვროს გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მასშტაბი. თუ შეუძლებელია ცალკეული აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრა, კომპანია აფასებს იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება. თუ არსებობს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი, კორპორაციული აქტივები ასევე ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელ ცალკეულ ერთეულებზეც, ან სხვა შემთხვევაში, ისინი ნაწილდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების უმცირეს ჯგუფზე, რომლისთვისაც შეიძლება განისაზღვროს განაწილების გონივრული და თანმიმდევრული საფუძველი.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები. მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შემენის, გადამუშავების და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გადამუშავების დანახარჯები მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან. ასევე, მოიცავს სისტემატურად გასანაწილებელ მუდმივ და ცვლად ზედნადებ ხარჯებს, რომლებიც გაწეულია ნედლეულისა და მასალების მზა პროდუქციად გარდაქმნის, გადამუშავების პროცესში. მუდმივი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც წარმოების მოცულობის ცვლილებასთან მიმართებაში უცვლელი რჩება. ცვლადი საწარმოო ზედნადები ხარჯები ისეთი არაპირდაპირი საწარმოო დანახარჯებია, რომლებიც იცვლება წარმოების მოცულობის ცვლილებების პირდაპირპროპორციულად.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

შპს ჯი თი სი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერი

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

იჯარა. იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები. სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, წარმოშობილი ოპერაციული ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი. კომპანიის დადგენილი კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის აქციონერების მიერ. კომპანიის დადგენილ კაპიტალში ცვლილებები განხორციელდება მხოლოდ კომპანიის აქციონერთა გადაწყვეტილებით.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება ფულადი ვალდებულების სახით დაგამოქვითულია საკუთარი კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ისინი გამოცხადებულ და დამტკიცებულნი არიან. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და საფინანსო ანგარიშგებამდე გამოცხადებული ნებისმიერი დივიდენდი ავტორიზებულია გამოსაცემად და აღნიშნულია შემდგომი მოვლენების შესახებ აღნიშვნაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიანი მაღალლიკვიდირებად ინვესტიციებს სამ თვიანი ან ნაკლები დადგენილი ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები ხორციელდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიას ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველწლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია თავისი ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

აქტივების გაუფასურება გარდა გუდვილისა. კომპანია პერიოდულად აფასებს აქტივების საბალანსო ღირებულების ანაზღაურებადობას. როდესაც ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ აქტივების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურებაზე, კომპანია აფასებს ასეთი აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებისთვის კომპანია აკეთებს დაშვებებს მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ანარიცხები. ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების გასტუმრება და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

თუ ანარიცხების დაფარვისთვის საჭირო ეკონომიკური სარგებლის ნაწილობრივ ან მთლიანად მიღება მესამე მხარისგან არის მოსალოდნელი, მისაღები თანხის აღიარება აქტივად ხდება მაშინ, როდესაც ფაქტობრივად გარანტირებულია ანაზღაურების მიღება და მისაღები თანხის ოდენობის სარწმუნოდ შეფასება შესაძლებელია.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები. პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაფარვის მიზნით დაბალია.

შპს ჯი თი სი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერი

პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა განმარტებულია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღებაა მოსალოდნელი.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. რეალური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებისაგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება უარყოფითად ან დადებითად გადაიხედოს მომავალში, შედეგების ან მოლოდინების მიხედვით, თითოეული ზემოქმედების ფაქტების საფუძველზე (შენიშვნა 10).

5. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ლარი	2020	2019
შრომის ანაზრაურება	(2,996,677)	(1,857,827)
საპენსიო ხარჯი	(44,347)	(35,923)
იჯარის ხარჯი	(101,102)	(126,961)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(44,453)	(28,726)
ამორტიზაცია და ცვეთა	(65,618)	(22,008)
საექვო ვალების ჩამოწერა და ანარიცხი	(79,100)	(168,342)
დაზღვევის ხარჯი	(14,417)	(7,274)
ტრანსპორტირების ხარჯი	(20,834)	(35,181)
კომუნალური ხარჯი	(8,263)	(5,342)
საწვავის ხარჯი	(46,176)	(31,663)
მივლინების ხარჯი	(5,353)	(23,071)
კომუნიკაციის ხარჯი	(4,723)	(4,388)
რეკლამის ხარჯი	(29,211)	(43,636)
კონსულტაციისა და აუდიტის ხარჯები	(6,600)	(79,632)
მიმდინარე რემონტის ხარჯი	(21,163)	(14,185)
საკანცელარიო ხარჯი	(1,005)	(2,746)
ბანკის საკომისიო	(11,272)	(5,155)
საგადასახადო ხარჯი	(36,676)	(23,447)
ქველმოქმედება	-	-
სამეურნეო ხარჯი	(5,283)	-
სხვადასხვა ხარჯები	(55,151)	(16,897)
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(3,597,426)	(2,532,402)

შპს ჯი თი სი ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერი

6. ფინანსური შემოსავალი/ხარჯი

ლარი	2020	2019
საპროცენტო შემოსავალი	-	333,397
ფინანსური იჯარის პროცენტი	(28,188)	-
საპროცენტო ხარჯი	(372,641)	(155,566)
სულ ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	(400,829)	177,831

შპს ჯი თი სი ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერი

7. ძირითადი საშუალებები

ლარი	მიწა	შენობა- ნაგებობები	საოფისე მოწყობილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	დანადგარები და აღჭურვილობა	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	ფინანსური იჯარით ფლ. სატრ. საშ.	ჯამი
წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	208,000	-	43,294	217,546	2,501,381	10,235	109,949	3,090,406
მიღებულია 2020 წლის საანგარიშო პერიოდში	-	101,747	3,693	20,674	1,083,675		71,053	1,280,842
დარიცხული ცვეთა		(680)	(10,003)	(31,384)	(518,877)	(2,047)	(20,911)	(583,902)
გასული			(2,142)		-			(2,142)
საინვესტიციო ქონების მიღება								
წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	208,000	101,067	34,843	206,836	3,066,179	8,188	160,091	3,785,204

ჯგუფის უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით საბანკო სესხების უზრუნველსაყოფად.

საინვესტიციო ქონება შედგება ჯი თი სი თრეიდინგის საკუთრებაში მყოფი ბათუმში მრავალსაცხოვრებელი კომპლექსში არსებული 2 ბინისგან (დაუმთავრებელი მშენებლობა). საინვესტიციო ქონების შეფასება მოხდა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შპს ჯი თი სი ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერი

8. არამატერიალური აქტივები

ლარი	ბუღალტრული პროგრამა
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	-
მიღებულია 2019 წლის საანგარიშო პერიოდში	1,148
დარიცხული ამორტიზაცია	(115)
გასული	-
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	1,033
მიღებულია 2020 წლის საანგარიშო პერიოდში	-
დარიცხული ამორტიზაცია	(115)
გასული	-
<i>წმინდა საბალანსო ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</i>	919

9. მარაგები

ლარი	12/31/2020	12/31/2019
საქონელი	4,088,647	4,286,771
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	17,233	-
სულ მარაგები	4,105,880	4,286,771

10. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და გადახდილი ავანსები

ლარი	12/31/2020	12/31/2019
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	4,374,278	4,584,625
საექვო ვალების ანარიცხი	(301,502)	(168,342)
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	15,000
გაცემული სესხები	59,000	-
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	99,195	163,967
წინასწარ გადახდილი გადასახადები	-	324,866
სულ მოთხოვნები	4,230,971	4,920,116

შპს ჯი თი სი ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერი

ცვლილებები საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშებში ასე გამოიყურება:

საექვო ვალების ანარიცხი		
ლარი	12/31/2020	12/31/2019
1 იანვრის მდგომარეობით	168,342	-
დარიცხვა წლის განმავლობაში	133,160	168,342
31 დეკემბრის მდგომარეობით	301,502	168,342

11. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტი

ლარი	12/31/2020	12/31/2019
ფულადი სახსრები ლარში	709,299	176,686
ფულადი სახსრები ევროში	-	170,282
ფულადი სახსრები დოლარში	37	-
სულ ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	709,336	346,968
ნაღდი ფული ლარში	3	4,224
სულ ნაღდი ფული	3	4,224

ფულის და ფულის ეკვივალენტების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ სამართლიან ღირებულებას.

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ლარი	12/31/2020	12/31/2019
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(4,785,533)	(6,064,308)
მიღებული ავანსები	(407,072)	(525,304)
ვალდებულებები თანამშრომლების მიმართ	(27)	-
საგადასახადო ვალდებულებები	(288,097)	(83,518)
სულ ვალდებულებები	(5,480,729)	(6,673,131)

შპს ჯი თი სი ჯგუფი
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2020 წლის 31 დეკემბერი

13. ნასესხები თანხები

ლარი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის ვადა	12/31/2020	12/31/2019
სს "თიბისი ბანკი"	EUR	6.5%+euribor	2020-11	-	643,303
სს "თიბისი ბანკი"	EUR	6.5%+euribor	2020-01	-	76,830
სს "თიბისი ბანკი"	EUR	6.5%+euribor	2029-05	243,615	202,622
სს "თიბისი ბანკი"	EUR	6.5%+euribor	2021-07	933,434	-
სს "თიბისი ბანკი"	EUR	6%+euribor	2024-01	479,834	-
სს "იშ ბანკი" (საკრედიტო ხაზი)	EUR	4.5%	2021-03	2,421,222	0
შპს ალიანსი თბილისი (დაფინანსების გარიგება უკუშესყიდვის პირობით)	EUR	-	2022-02	2,617,640	1,960,381
სს "თიბისი ბანკი"	EUR	6.5%+euribor	2024-08	768,386	710,883
სულ სესხები და ნასესხები თანხები				7,464,131	3,594,018
აღებული სესხების მოკლევადიანი ნაწილი				3,732,795	869,381
აღებული სესხების გრძელვადიანი ნაწილი				3,731,336	2,724,637

ნასესხები თანხები უზრუნველყოფილია ჯგუფის უძრავი ქონებით (მიწა და შენობები, საინვესტიციო ქონება).

2020 და 2019 წელს სესხებზე დაერიცხა 372,641 და 155,566 ლარის საპროცენტო ხარჯი წლების შესაბამისად.

18. რისკების მართვა

ა) ფინანსური რისკების მართვა

ფინანსური ინსტრუმენტებით სარგებლობიდან გამომდინარე, „ჯგუფი“ დგას შემდეგი რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი

წინამდებარე შენიშვნა წარმოადგენს ინფორმაციას „ჯგუფი“ ზემოთ მოყვანილი თითოეული რისკის გავლენის, ასევე მათი შეფასებისა და მართვისათვის „ჯგუფის“ მიზნების, პოლიტიკებისა და პროცესების და „ჯგუფის“ ხელმძღვანელობის მიერ კაპიტალის მართვის შესახებ. სხვა თანხობრივად გამოხატული ახსნა-განმარტებები მოყვანილია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში.

შპს ჯი თი სი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერი

ბ) რისკების მართვის სტრუქტურა

ჯგუფის ხელმძღვანელობას ეკისრება საერთო პასუხისმგებლობა რისკის მართვის სისტემის დაწესებასა და ზედამხედველობაზე. ხელმძღვანელობა ვალდებულია განავითაროს და მონიტორინგი გაუწიოს ორგანიზაციის რისკების მართვის პოლიტიკას.

რისკის მართვის პოლიტიკა დადგენილია „ჯგუფზე“ რისკების გავლენის განსაზღვრისა და ანალიზისთვის, რისკის შესაბამისი ლიმიტების დაცვის მონიტორინგისთვის. რისკის მართვის პოლიტიკა და სისტემა რეგულარულად გადაიხედება მიმდინარე საბაზრო მდგომარეობისა და „ჯგუფის“ საქმიანობაში ცვლილებების გასათვალისწინებლად. „ჯგუფს“ მიზნად აქვს ტრენინგების, ხელმძღვანელობის სტანდარტებისა და პროცედურების მეშვეობით ჩამოაყალიბოს დისციპლინური და კონსტრუქციული კონტროლის გარემო, რომლის მიხედვითაც ყველა თანამშრომელს ეცოდინება თავისი როლი და ვალდებულება.

გ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის „ჯგუფის“ ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური ინსტრუმენტის ხელშემკვრელი მხარე არ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი „ჯგუფს“ ძირითადად წარმოეშვება სავაჭრო და სხვა მიმდინარე მოთხოვნებიდან და საინვესტიციო ქაღალდებიდან.

საკრედიტო რისკის გავლენა

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების დაუფარავობის შემთხვევაში. ჯგუფის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები. საკრედიტო რისკი, ძირითადად განპირობებულია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან და ფული და ფულის ეკვივალენტებიდან (გარდა ნაღდი ფულისა). ჯგუფი საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს ყველა დაუფარავი საკრედიტო თანხის დაფარვის კონტროლს და პრობლემური ფინანსური აქტივების ინტენსიურ მართვას.

საბალანსო ღირებულება

ლარი	12/31/2020	12/31/2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,230,971	4,920,116
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები	709,339	351,192
	4,940,309	5,271,308

ჯგუფი საკრედიტო რისკების ჯგუფურ და ინდივიდუალურ შეფასებას ახორციელებს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის იმის რისკი, რომ „ჯგუფი“ ვერ შეძლებს დაფაროს თავისი ფინანსური ვალდებულებები ფულადი სახსრებით ან ფინანსური აქტივებით. ლიკვიდურობის მართვის „ჯგუფისეული“ მიდგომა არის, რამდენადაც შესაძლებელია, გადამოწმება იმისა, რომ ვალდებულების გაჩენისას, „ჯგუფს“ ყოველთვის ჰქონდეს დავალიანების შესაბამისი ლიკვიდურობა, როგორც ჩვეულ, ისე - სტრესულ მდგომარეობაში, მისი რეპუტაციის ქვეშ დაყენების და დანაკარგების წარმოშობის გარეშე. ფულადი სახსრების დიდი ნაწილი (90 %) განთავსებულია მიმდინარე ანგარიშზე ბანკებში, რომელიც ასევე ამყარებს „ჯგუფის“ ლიკვიდურობას.

არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებები

საბალანსო ღირებულება

ლარი	12/31/2020	12/31/2019
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,480,729	6,673,131

ე) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი წარმოადგენს საბაზრო ფასების ცვალებადობის რისკს, რაც მოიცავს უცხოური ვალუტის გაცვლით კურსებს, საპროცენტო განაკვეთებისა და კაპიტალის ღირებულების ცვალებადობის რისკს, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს „ჯგუფის“ მფლობელობაში არსებული ინსტრუმენტების ღირებულებაზე. საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკებზე დამოკიდებულების მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

ვ) კაპიტალის მართვა

„ჯგუფის“ საქმიანობიდან გამომდინარე, მას არ აქვს ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა. გარდა ამისა, „ჯგუფი“ არ ექვემდებარება კაპიტალთან დაკავშირებულ გარე მოთხოვნებს. „ჯგუფის“ კაპიტალის მართვაზე გადაწყვეტილებებს იღებს მისი მფლობელი.

19. პირობითი ვალდებულებები

ა) საგადასახადო პირობითი ვალდებულებები საქართველოში

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და მისთვის დამახასიათებელია კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილება, რომელიც ხშირად ბუნდოვანი და წინააღმდეგობრივია და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მიერ სხვადასხვაგვარად განიმარტება. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო ორგანოს არ შეუძლია „კომპანიას“ დააკისროს დამატებითი საგადასახადო ვალდებულება, ჯარიმა ან საურავი, თუ სამართალდარღვევიდან სამი წელია გასული.

ზემოთხსენებული საგადასახადო ვითარებები ქმნის საგადასახადო რისკებს, რომლებიც საქართველოში უფრო არსებითია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობის აზრით, იგი

შპს ჯი თი სი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერი

ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური აქტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა, შესაბამისი უწყებების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავდებოდეს და წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე მათი გავლენა (იმ შემთხვევაში, თუ უწყებები წარმატებით განახორციელებენ მათ ინტერპრეტაციებს) შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

ბ) სასამართლო დავები და სარჩელები

ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებში „ჯგუფის“ მიმართ ხორციელდება სამართლებრივი ქმედებები, დავები და საჩივრები.

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდისათვის განიხილავს მიმდინარე სასამართლო დავების სამართალწარმოებას, რათა შეაფასოს ანარიცხის საჭიროება და განმარტოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ანარიცხების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს სასამართლო პროცესის მიმდინარეობას, საკანონმდებლო მოთხოვნებს, ზარალის მოსალოდნელ ოდენობას, იურისტების და შესაბამისი სფეროს სპეციალისტების მოსაზრებას, მსგავსი დავების პრაქტიკულ შედეგებს. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რაც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

გ) გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხები

საქართველოში კანონმდებლობა გარემოს დაცვის დარგში ვითარდება. „ჯგუფი“ პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოს დაცვის კანონმდებლობის შესაბამისად. როგორც კი წარმოიქმნება ვალდებულება, ხდება მისი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას არსებულ წესებში ან კანონმდებლობაში ცვლილებების და ასევე სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებული სასამართლო პროცესების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სამართალგამოყენების არსებული კლიმატის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ „ჯგუფის“ გარემოსათვის ზიანის მიყენებასთან ან გარემოს აღდგენასთან დაკავშირებით არა აქვს მნიშვნელოვანი ვალდებულებები.

21. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ა) საანგარიშგებო წლის განმავლობაში ჯგუფს დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

ოპერაციები	2020	2019
საქონლის/მომსახურების რეალიზაცია	844	402,720
საქონლის/მომსახურების შესყიდვა	319,385	3,608,346

შპს ჯი თი სი ჯგუფი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2020 წლის 31 დეკემბერი

ნაშთები	12/31/2020	12/31/2019
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	218
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	485,713	1,261,829

ბ) ოპერაციები მმართველ რგოლთან

ჯგუფის ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც გათვალისწინებულია სახელფასო ხარჯებში (იხ. მე-7 შენიშვნა):

ლარი	2020	2019
ხელფასი და ბონუსები	2,210,487	1,308,398

22. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

2021 წელს შვილობილმა კომპანია - შპს ჯი თი სი რენტმა აქტივების დიდი ნაწილი გაყიდა დაკავშირებულ მხარეზე.

დირექტორი:



ფინანსური დირექტორი:



სს ქებული კლიმატი
მმართველობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერი

მმართველობის ანგარიშგება

შპს ჯი თი სი ჯგუფი

2020 წ.

შესავალი და ზოგადი მიმოხილვა

წარმოდგენილი ანგარიშის მიზანია ზოგადი ინფორმაცია მოგაწოდოთ კომპანიის საქმიანობის შესახებ, მის მიღწევებსა და სამომავლო მიზნებზე. ასევე, იმ შემთხვევებზე ფაქტორებსა და რისკებზე, რომლებიც თან ახლავს ბიზნეს საქმიანობას და რომელსაც დიდი ყურადღება ეთმობა კომპანიის მენეჯმენტის მხრიდან.

კომპანიის შესახებ

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჯი თი სი ჯგუფი (ს/კ405324947) დაარსდა 2019 წლის 20 მარტს. კომპანიის დამფუძნებლები 50%-50%-იანი წილებით არიან კახა მარღიაშვილი და ლევან კალანდარიშვილი.

ჯი თი სი ჯგუფი თავად არ ახორციელებს საოპერაციო საქმიანობას, ყავს 3 შვილობილი კომპანია:

1. შპს ჯი თი სი თრეიდინგი ს/კ406249625
2. შპს ჯი თი სი რენთი ს/კ405325526
3. შპს ჯეო-ფორმ ს/კ405333009

ჩამოთვლილთაგან აქტიურ საოპერაციო საქმიანობას ეწევა მხოლოდ ორი: შპს ჯი თი სი თრეიდინგი და შპს ჯი თი სი რენთი.

ჯი თი სი თრეიდინგი 2018 წელს გახდა მსოფლიოში მოწინავე საქარგილე მასალებისა და თანამედროვე საყალიბე სისტემების მწარმოებელი ავსტრიული კომპანია Doka GmbH-ს პარტნიორი საქართველოში და ამავე წელს მიღწეული შედეგებიდან გამომდინარე კომპანია დასახელდა DOKA-ს საუკეთესო პარტნიორად აღმოსავლეთ ევროპის მასშტაბით. 2020 წლის დასაწყისში თანამშრომლობა უფრო გაღრმავდა და ჯი თი სი თრეიდინგს საქართველოში მიენიჭა დოკას ექსკლუზიური დისტრიბუტორის სტატუსი.

ავსტრიული ბრენდ Doka-ს გარდა შპს ჯი თი სი თრეიდინგი ასევე არის ისეთი საერთაშორისო ბრენდების პარტნიორი, როგორებიცაა: **Plyterra, Gherardi, Extraform, Doka RUS, Sveza, Alfix, Consmos** და სხვა.

ჯი თი სი რენთი დაარსდა 2019 წლის 22 მარტს და მის ყოველდღიურ საქმიანობას წარმოადგენს Doka-ს წარმოების საყალიბე სისტემების იჯარა. კომპანია 2019 წლის მანძილზე მუშაობდა სატესტო რეჟიმში, ხოლო 2020 წლიდან დაიწყო აქტიური განვითარება და პოზიციონირება ბაზარზე.

2021-ში მნიშვნელოვნად მატულობს ფასები რკინაზე, ხის მასალაზე, რაც შესაბამისად ასახვას პოვნებს ჯითისი თრეიდინგის სარეალიზაციო პროდუქციის ფასებზე. არის პოზიციები, რომელთა სარეალიზაციო ფასი, თვითღირებულების მომატებიდან გამომდინარე, გაიზარდა 150%-200%-ით. აქედან, გამომდინარე მნიშვნელოვნად არის გაზრდილი მოთხოვნა იჯარაზე, რადგან კომპანიებს არ უწევთ ერთიანად დიდი მოცულობის თანხის ინვესტირება საყალიბე მასალებში და შექმნილ კრიზისულ სიტუაციაში ურჩევნიათ ყოველთვიურად და მცირე

შპს ჯი თი სი ჯგუფი
მმართველობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერი

მოცულობით იხადონ იჯარა. 2021 წელში იჯარის მიმართულებით ვგეგმავთ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას. ვაპირებთ დიდი მოცულობის საიჯარო ინვენტარის (საყალიბე სისტემების) დამატებას, შემდგომი გაქირავების მიზნით.

ჯი თი სი თრეიდინგი და ჯი თი სი რენტლი მომხმარებლებთან ურთიერთობას ახორციელებს, როგორც საცალო, ასევე კორპორატიულ გაყიდვებში.

ორივე შვილობილ კომპანიას თბილისში იჯარით აქვს აღებული სასაწყობო ფართი, სადაც ხდება საქარგილე მასალების იმპორტი, შემდგომი რეალიზაცია და იჯარით გაცემა.

კომპანიების ჯგუფი, დაარსების დღიდან აქტიურად ახორციელებს პოზიციონირებას ბაზარზე, რადგან ეს არის იმ პერიოდის დასაწყისი, როდესაც დიდი მოთხოვნაა ავსტრიულ ბრენდ Doka-ს წარმოებულ თანამედროვე საყალიბე სისტემებზე.

ჯი თი სი ჯგუფი და მისი შვილობილი კომპანიები ყოველთვის ცდილობენ იყვნენ მომხმარებლებზე ორიენტირებული. კვალიფიციური თანამშრომლების დახმარებით ცდილობენ შესთავაზოს მათ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია და მომსახურება, რასაც შემდომში მოაქვს გრძელვადიანი და სტაბილური თანამშრომლობა მომხმარებლებთან.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა

შპს ჯი თი სი ჯგუფი თავად არ ახორციელებს საოპერაციო საქმიანობას, რაც შეეხება მის შვილობილ კომპანიებს:

შპს ჯი თი სი თრეიდინგი ახორციელებს სამშენებლო მასალებისა და ინვენტარის იმპორტს, ადგილობრივ შესყიდვებსა და შემდგომ მის რეალიზაციას ადგილობრივ და უცხოურ ბაზრებზე. კომპანიის ძირითად მიმართულებას წარმოადგენს ავსტრიული ბრენდ Doka-ს მიერ წარმოებული თანამედროვე საყალიბე სისტემებისა და მასალების რეალიზაცია.

ჯი თი სი თრეიდინგი აერთიანებს შემდეგ სასაქონლო ჯგუფებს:

- ლამინირებული ფანერა (რუსული);
- ლამინირებული ფანერა (ჩინური);
- სამშენებლო კოჭები;
- სამშენებლო დგარები, სამფეხი, ჩანგალი;
- ხრახნიანი ღერო, ხრახნიანი ღეროს ქანჩი;
- ლურსმანი და გამომწვარი მავთული;
- სამუშაო ხელთათმანები;
- საყალიბე სისტემები;
- უსაფრთხოების სისტემები;
- საფასადე და სივრცული ხარაჩოები

ზემოთ აღნიშნული ყველა პროდუქტი ითვალისწინებს სამშენებლო სფეროში დადგენილ და მოქმედ სტანდარტებს და არის მასთან შესაბამისობაში. თითოეულ მათგანს, მწარმოებლის მხრიდან, თან ახლავს საერთაშორისო სერტიფიკატი.

შპს ჯი თი სი ჯგუფი
მმართველობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერი

ჯითისი თრეიდინგი ყოველთვის ორიენტირებული იყო ბაზარზე წარედგინა ევროპული წარმოების თანამედროვე საყალიბე სისტემები, რისი საშუალებაც მიეცა ავსტიულ ბრენდ Doka-სთან ექსკლუზიური თანამშრომლობით. ჯითისის მონაწილეობით აშენდა მრავალი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი, მამტაბური საცხოვრებელი და კომერციული დანიშნულების ობიექტი. ჯითისის აკავშირებს პარტნიორული ურთიერთობა საქართველოში წარმოდგენილ ყველა მსხვილ და ავტორიტეტულ სამშენებლო კომპანიასთან.

სამომავლო გეგმები

2018-2019 წლებში ქართულ სამშენებლო ბაზარზე შეინიშნებოდა მნიშვნელოვანი ზრდა, თუმცა იგივეს ვერ ვიტყვით 2020 წელზე, რაც გამოიწვია მსოფლიო პანდემიამ და აქედან გამომდინარე ჩამოყალიბებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე კომპანიას მუშაობა მოუწია ფორს-მაჟორულ გარემოში, რამაც შესაბამისად გავლენა იქონია 2020 წლის შედეგებზე. კომპანიას სრულად მოუწია მორგებოდა არსებულ სიტუაციას და გვერდზე გადაედო ის გეგმები და მიზნები, რასაც ისახავდა 2020 წლის განმავლობაში.

რადგან ჩვენი კომპანიის ძირითად სარეალიზაციო პროდუქტს წარმოადგენდა ავსტრიული ბრენდ დოკას წარმოებული საყალიბე სისტემები, რომელიც სხვა პროდუქციასთან შედარებით არის მაღალ ბიუჯეტური, მნიშვნელოვნად შემცირდა მომხმარებლის მხრიდან მოთხოვნა აღნიშნული პროდუქტის შესყიდვაზე, თუმცა ამ პერიოდში შეინიშნებოდა მოთხოვნის ზრდა ამავე პროდუქტის იჯარით აღებაზე. აქედან გამომდინარე, მენეჯმენტმა დაისახა მიზნად იჯარის ბაზრის ათვისება.

ამავდროულად, კომპანია დააკვირდება მსოფლიოში და საქართველოში სამშენებლო ბაზარზე არსებულ სიტუაციას და აქედან გამომდინარე მიიღებს გადაწყვეტილებას კვლავ მოახდინოს ინვესტირება თრეიდინგის მიმართულებით თუ არა. კომპანიის მხრიდან აქტიურად ხდება საერთაშორისო ბაზრის შესწავლა და შესაძლოა აქტიურად განახორციელოს Doka-ს წარმოების საყალიბე სისტემების ექსპორტი, ასეთი მოთხოვნის არსებობის შემთხვევაში.

შპს ჯი თი სი რენტის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს Doka-ს წარმოების საყალიბე სისტემების იჯარით გაცემა. კომპანია აღნიშნული საყალიბე სისტემების შესყიდვას ახორციელებს ჯი თი სი თრეიდინგისგან და შემდგომში ახდენს მათი იჯარით გაცემას.

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის 2020 წლის ფინანსურ მაჩვენებლებში, 2019 წლებთან შედარებით, ნათლად ჩანს უარყოფითი ტენდენცია, რაც მეტწილად განპირობებულია კოვიდ 19-თან დაკავშირებული პანდემიური მოვლენებიდან გამომდინარე. 2020 წელს მნიშვნელოვნად შემცირებულია კომპანიის შემოსავლის მაჩვენებელი 2019 წელთან შედარებით. შეინიშნება 11%-იანი

შპს ჯი თი სი ჯგუფი
მმართველობის ანგარიშგება
 2020 წლის 31 დეკემბერი

შემცირება. 2020 წლის უარყოფით ფინანსურ შედეგებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია საკურსო სხვაობით გამოწვეულმა ზარალმა და მმართველ რგოლზე არადაგეგმილად, ხელფასის სახით გაცემულმა დივიდენდებმა.

კოეფიციენტი	2020	2019	კომენტარი
საერთო მოგების მარჟა	24%	24%	შემოსავლების შემცირებასთან ერთად გაიზარდა გაყიდული პროდუქციის თვითღირებულებაც, ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ვალუტის კურსის ზრდამ
წმინდა მოგების მარჟა	-16%	8%	2019 წლის ბოლოს ეროვნული ბანკის მონაცემებით გაცვლითი კურსი ფიქსირდებოდა დოლარზე 2.8677 და ევროზე 3.2095, ხოლო 2020 წლის ბოლოს დოლარზე 3.2766 და ევროზე 4.0233. ვინაიდან კომპანიას მომწოდებლებთან აქვს ვალდებულება უცხოურ ვალუტაში (ძირითადად ევროში) და სასესხო ვალდებულებებიც უცხოურ ვალუტაში (ძირითადად ევროში), აქედან გამომდინარე მნიშვნელოვნად გაიზარდა კომპანიის საკურსო ზარალი.
ROA - უკუგება აქტივებზე	-17%	10%	ROA 2020 წელს 2019 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუარესდა, რადგან 2020 წელს კომპანია გავიდა საოპერაციო ზარალზე
მიმდინარე ლიკვიდურობა	98%	126%	მიმდინარე ვალდებულებების შედგება მოკლევადიანი სესხებისგან და სავაჭრო ურთიერთობისგან წარმოშობილი ვალდებულებებისგან, რომელთა უმეტესი ნაწილი არის უცხოურ ვალუტაში. კომპანიამ 2020 წელს დამატებით აიღო კრედიტი ბანკისგან, რითაც ნაწილობრივ გაიზარდა გრძელვადიანი აქტივები. ზემოაღნიშნულმა გამოიწვია ლიკვიდურობის კოეფიციენტის შემცირება

არაფინანსური მაჩვენებლები

შპს ჯი თი სი ჯგუფში 2020 წლის განმავლობაში დასაქმებული იყო 40-მდე თანამშრომელი. მიუხედავად პანდემიის გამო შექმნილი კრიზისული სიტუაციისა კომპანიამ შეძლო და შეინარჩუნა უკლებლივ ყველა თანამშრომელი. 2020 წელს იჯარის მიმართულებით დამატებით განხორციელდა კადრების აყვანა.

უამრავი კანდიდატიდან, ჩვენ არჩევანს ვაკეთებთ ყველაზე მოტივირებული და მონდომებული პირების სასარგებლოდ. კომპანიის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ შევქმნათ ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის. ჩვენი თანამშრომელზე ორიენტირებული მიდგომის საბაზისო საყრდენი სამართლიანობაა, რომლის გამოვლენას ვცდილობთ ადეკვატური ანაზღაურების, დამატებითი ბონუსების გაცემითა და

შპს ჯი თი სი ჯგუფი
მმართველობის ანგარიშგება
2020 წლის 31 დეკემბერი

დივერსიფიკაციის პატივისცემით, რომელიც აუცილებლად ახასიათებს ადამიანთა ნებისმიერ ფართო წრეს. ჩვენ ვიაზრებთ და ვიღებთ ჩვენ წილ პასუხისმგებლობას ჩვენი დასაქმებულების წინაშე, თუმცა სანაცვლოდ მათგანაც ვითხოვთ კეთილსინდისიერ და გონივრულ დამოკიდებულებას საქმის მიმართ.

კომპანიაში არსებული სამუშაო გარემო

აღსანიშნავია, რომ საქმიანობის დაწყებიდან დღემდე ვაცნობიერებთ, რომ ჩვენი თანამშრომლები ჩვენი წარმატების საწინდარია, ამიტომ ვცდილობთ განურჩევლად ყველას შევუქმნათ თანაბარი შესაძლებლობები განვითარებისათვის. კომპანიის თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან მათთვის საჭირო ინვენტარითა და სამუშაოს შესრულებისთვის აუცილებელი ტექნიკით.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე

კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, ჩვენ ვცდილობთ საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გავითავისოთ და შევუქმნათ ჩვენს თანამშრომლებს უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო შრომისათვის.

შრომითი ხელშეკრულების გაფორმებასთან ერთად კომპანია უზრუნველყოფს დასაქმებულს ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტით.

კორუფციასთან ბრძოლა

კომპანიის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. ჩვენ მაქსიმალურად მკაცრად ვაფასებთ ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა კომპანიისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

შპს ჯი თი სი ჯგუფის


დირექტორი:



ლ. კალანდარიშვილი

ფინანსური დირექტორი:

დ. ჟღენტი



27 სექტემბერი, 2021